მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივლისი (თამუზი) 1-15
№13 (322)
(5770)
2010
ფასი 50 თეთრი

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ისრაელის ელჩი ბათუმს ეწვია

ისრაელის ელჩი იცხაკ ბერბერბი ბათუმს ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ელჩი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს, ლევან ვარშალომიძეს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი ტურიზმის სფეროში თანამშრომლობას შეეხო. მხარეებმა ასევე სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარების თაობაზე იმსჯელეს.

იცხაკ ბერბერბი რეგიონს ეწვია, რათა მოენახულებინა ებრაელი ოფთალმოლოგები, რომლებმაც 100-ზე მეტ ადამიანს კატარაქტის უფასო ოპერაცია გაუკეთეს.

* * *

ისრაელის საელჩოს მოწვევითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს ისრაელიდან ესტუმრნენ კატარაქტაზე სპეციალიზირებული ქირურგები: დან ზაქსი და ემანუელ შველბი.

ქირურგებმა ქ. ბათუმში 14-დან 24 ივნისის ჩათვლით უფასოდ ჩაატარეს კატარაქტის ოპერაციები, რის შედეგადაც მხედველობა დაუბრუნდება რამდენიმე ათეულ უსინათლო ადამიანს.

თავდასხმა ირანზე: საქართველო უარყოფს ისრაელთან კავშირს

ირანის საინფორმაციო საშუალებები: საქართველოში იმყოფებიან ისრაელელი სამხედროები, ხოლო ირანზე თავდასხმის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორია გამოყენებული იქნება ისრაელის ავიაციის მიერ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უარყოფს ამ ინფორმაციას.

აზერბაიჯანის კვალდაკვალ საქართველოს ჯერი დადგა უარყოს განცხადება იმის შესახებ, რომ მის ტერიტორიაზე იმყოფებიან ისრაელელი სამხედროები და ირანზე თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის ტერიტორია გამოყენებული იქნება ისრაელის ავიაციის მიერ. ეს ხმები გავრცელდა ირანის სააგენტოს „ასრ ირან“-ის მიერ ანონიმურ ამერიკულ ექსპერტზე დაყრდნობით. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება ისრაელელი სამხედროების კონტინგენტი, იტყობინება AEH.

შეგახსენებთ, გასულ კვირას ისრაელის ინგლისურენოვანი ინტერნეტ-რესურსის „Debka-ს“ პუბლიკაციამ საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია რუსეთსა და აზერბაიჯანში.

„Газетная Утка“ იტყობინებოდა, რომ ირანმა სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა თავის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვარზე. აღინიშნებოდა ასევე, რომ ისლამური რევოლუციის „КСИР“ კორპუსის დამცველების ქვედანაყოფები მასობრივად მობილიზებულნი კასპიის ზღვის რეგიონში, იარაღი დამიზნულები იყვნენ მეზობელ აზერბაიჯანზე. „Debka“ ამტკიცებს, თითქოს აშშ-სა და ისრაელის სამხედრო კონტინგენტები უკვე აზერბაიჯანის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზებზე იმყოფებიან, საიდანაც თითქოს მზადდება დარტყმა ირანულ ბირთვულ ობიექტებზე. „Debka“-მ დაამატა, რომ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ისრაელმა საქართველოს გზით აზერბაიჯანის ბაზებზე ბომბდამშენების დიდი ნაწილი გადაისროლა.

ისრაელელმა ექსპერტებმა ამ პუბლიკაციას „ცარიელი ლაპარაკი“ და „სისულელე“ უწოდეს.

მილოცვა

გაზეთ „მენორას“ რედაქცია მრავალათასიანი მკითხველის სახელით, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ღირსეულ პიროვნებას, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტსა და ჩინებული ოჯახის მეთაურს **რომან შალელს (შალელაშვილს)** — ულოცავს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ად მეა ვეესრიმ, ბატონო რომან!

იკითხეთ გაზეთი „მენორა“ ინტერნეტ-საიტზე www.menora.ge

„ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა“

4 ივლისს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა“. გამოფენა მიეძღვნა მსოფლიოს ებრაელთა ისტორიის მეცნიერთა სემინარს, რომელიც ამჟამად საქართველოში ჩატარდა და

ორგანიზებული გახლავთ იერუსალიმის ბენ ცვის ინსტიტუტის მიერ.

გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველ ებრაელთა კულტურის, ისტორიის და ყოფის ამსახველი ექსპონატები. გამოფენა ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესოა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი უკვე მესამედ წარმოადგენს თბილისში არსებულ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ენთოგრაფიულ მუზეუმის კოლექციას, თუმცა, ეს გამოფენა გამორჩეულია იმით, რომ წარმოდგენილი გახლავთ უძველესი ექსპონატები – არა მხოლოდ ებრაული ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექცია, არამედ ებრაელთა საქართველოში ყოფის ამსახველი, სამარხებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ქვების სტელები, „ლაილაშის ბიბლია“, ხელნაწერები, რელიგიური და რიტუალური დანიშნულების ნივთები, კოსტიუმები, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც ორი მხატვრის – შალომ კობოშვილისა და დავით გველესიანის მიერ გახლავთ შესრულებული.

გამოფენის გახსნისას სიტყვით გამოვიდნენ:

დავით ლორთქიფანიძე:

– მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო, ჩემგან არ სჭირდება ხაზგასმა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ-ებრაულ ურთიერთობას, რა დიდი ტრადიციები გვაქვს და როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ამ ტრადიციებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ტრადიციები არ დარჩეს წარსულში და ჩვენ შევძლოთ მისი განვითარება. პირველ რიგში, თანამედროვე ისრაელის მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ურთიერთობებით დღევანდელი გამოფენა არის გარკვეულწილად ეტაპი ახალი სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობებისა. დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ ყველას ამ გამოფენის ინიცირებისათვის. პირველ რიგში, ქ-ნ თამილა მგალობლიშვილს, ბ-ნ იულონ გაგოშიძეს, ქ-ნ ლელა წიწუაშვილს. რა თქმა უნდა, საქართველოში ისრაელის ელჩს ბ-ნ იცხაკ გერბერგს, რადგან ნებისმიერი პროექტი გაერთიანებითა და სიძლიერით ხორციელდება.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბ-ნი **იცხაკ გერბერგი:**

– ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ დღევანდელ საღამოს გმასპინძლობთ ამ შესანიშნავ გამოფენაზე ქართველ ებრაელთა კულტურასთან დაკავშირებით. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მუზეუმის დირექტორს და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც გამოფენის ასეთ მოკლე პერიოდში მოწყობაში თავისი წვლილი შეიტანა. ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივესალმო საქართველოში სემინარის მონაწილეებს, რადგან ეს გამოფენა ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად ებრაული ტრადიციებისთვის და კერძოდ ქართულ-ებრაული კულტურისა და ისტორიისთვის.

როგორც მოგეხსენებათ, ებრაელები 26 საუკუნეზე მეტია საქართველოში მშვიდობიანად ცხოვრობენ და ქართველებთან ყოველთვის მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. ეს შესანიშნავად არის წარმოჩენილი დღევანდელ გამოფენაზე.

ეს გამოფენა კიდევ უფრო გაამყარებს ორ ერს შორის ურთიერთობას და თანამშრომლობას.

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში **თემურ იაკობაშვილი:**

– მოგესალმებით, ბევრი მუზეუმი მინახავს ისრაელში და ისრაელის გარეთაც, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ რასაც დღეს ჩვენ აქ ვხედავთ, ეს არის ევროპაში ყველაზე ძველი არტეფაქტები, რომლებიც ებრაელთა ცხოვრების შესახებ მოგვითხრობენ და ეს მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატები არ არის, ისინი ქართულ-ებრაულ კულტურის ნაწილს წარმოადგენენ.

ქართულ-ებრაული ურთიერთობა, ეს ის ურთიერთობაა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ საერთაშორისო დონეზე. ამ გამოფენით ყველა უცხოელ დამთვალიერებელს გვინდა ვუთხრათ, რომ საქართველო ებრაელებისთვის დღესაც არის სამშობლო და კომფორტული საცხოვრებელი. საქართველო ისრაელის ღირსეული პარტნიორია არა მხოლოდ რეგიონში, არა მხოლოდ ემოციების დონეზე, არამედ პრაქტიკულადაც.

წარმატებას ვუსურვებ ამ გამოფენას და რაც შეიძლება ბევრი მნახველი ჰყოლოდეს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

პროფესორი **თამილა მგალობლიშვილი:**

– როგორც მოგეხსენებათ, გამოფენის მიზანია საზოგადოებას გავაცნოთ ებრაელთა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც მრავალ ებრაელს სამშობლოდ ექცა თითქმის ძვ.წ.აღ. მე-6 საუკუნიდან. ეს გამოფენა ასევე ნაწილია საერთაშორისო პროექტისა „საქართველო და წმინდა მიწა“, რომელიც მიზნად ისახავს საფუძველი ჩაუყაროს საქართველო-ისრაელის ურთიერთობების ახალ ეტაპს, ამ ქვეყნებში შემონახული კულტურული მემკვიდრეობის უკეთ დაცვისა და შესწავლის თვალსაზრისით. განსაკუთრებით ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობას, რომელიც მრავალ საუკუნეს ითვლის. განსაკუთრებით გამოვყოფ მცხეთის ებრაულ თემს ქართლის გაქრისტიანებაში, რომელსაც ქართული წყაროებიც ადასტურებენ. ქართლის განმანათლებლის – წმინდა ნინოს პირველი მიმდევრები ქართლში სწორედ ებრაული თემის წარმომადგენლები იყვნენ. ხოლო პირველი მღვდელი იყო ებრაული თემის წარმომადგენელი აბიათარი. ოდიდან მოყოლებული ძალზე მჭიდრო ურთიერთობები არსებობდა ქრისტიან ხალხსა და წმინდა მიწას შორის. განსაკუთრებულია ამ მხრივ ისიც, რომ ქართველებს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით დანგრეული იერუსალიმის მშენებლობაში IV-Vსს–ში. ჩვენი ორი ერის უძველესი მეგობრობის ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო არის დღეს გამოფენილი „ლაილაშის ბიბლია“, რომელიც წმინდა წიგნი იყო არა მარტო ქართველი ებრაელებისათვის, არამედ ქართველი ქრისტიანებისთვისაც. ვფიქრობ, ეს არის არაჩვეულებრივი მაგალითი და ჩვენ ყველანი ერთად – ისრაელში მოღვაწე ჩვენი კოლეგები, მოქალაქეები, ქართველი მეცნიერები და მოსახლეობა გავუფრთხილდებით ორივე მხარის კულტურულ მემკვიდრეობას, დავიცავთ მას, როგორც საქართველოში ისე ისრაელში.

ებრაული ისტორიული სემინარის დამფუძნებელი, ბენ-ცვის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

იომ ტოვ ასისი:

– ჩვენ აქ ჩამოვედით, რათა გავმართოთ ებრაელ ისტორიკოსთა სემინარი თემაზე: „საქართველოს ებრაელობა“. ჩვენ წარმოვადგენთ მრავალ ქვეყანას: აშშ-ს, ინგლისს, საფრანგეთს, მექსიკას, ბრაზილიას და პოლონეთს. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ შევისწავლით ძალიან უნიკალურ ებრაულ თემს, მის ისტორიასა და კულტურას. მსურს ხაზი გავუსვა ერთ დასკვნას, რომლამდეც შესწავლის პერიოდში მივედით: ეს არის თემი, რომელიც არსებობს 26 საუკუნის განმავლობაში. იგი განიცდიდა აღმასვლას და დაღმასვლას, ბედნიერსა და უბედურ მომენტებს. ამ დიდი ხნის განმავლობაში ერთი რამ იყო მუდმივი: ებრაელები, რომ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული როგორც ქართულ, ისე ებრაულ ისტორიასა და კულტურასთან. ძალიან გვიკვირს, როგორ მოასწრეს ქართველმა ებრაელებმა გადარჩენა და თავისი იდენტურობის შენარჩუნება მრავალი შემოსევის ფონზე. ისინი წინ აღუდგნენ ყველა მცდელობას გამქრალიყო ებრაული კულტურული და რელიგიური ცხოვრების წესი.

ჩვენ ვტოვებთ ქვეყანას გრძნობით, რომ ვიმყოფებით ძალიან მეგობრულ გარემოში. საქართველო და ისრაელი დღესდღეობით მსგავს სიტუაციაში იმყოფებიან, რაც საშუალებას აძლევს მათ მიაღწიონ სრულ ურთიერთგაგებას.

მინდა მადლობა გადავუხადო მუზეუმის ხელმძღვანელობას გამოფენის მოწყობისთვის. განსაკუთრებულად დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ისრაელის ელჩს საქართველოში, რომელმაც მხარი დაუჭირა გამოფენის იდეის განხორციელებას და ასევე იმ ადამიანებს, რომელთაც ინტერესი გამოიჩინეს ქართულ მიწაზე მრავალი საუკუნის მანძილზე მაცხოვრებელი ებრაული თემის კულტურისა და ისტორიის მიმართ.

პროფესორი **იულონ გაგოშიძე:**

– ქართველი ებრაელების ისტორიის და კულტურის გამოფენა უკვე მესამედ ტარდება ამ მუზეუმში. თუმცა, ამ სამიდან – ეს პირველია, როდესაც საჯაროდ წარმოდგენილია ებრაელთა საქართველოში ყოფნის უშუალოდ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები. კერძოდ კი - ეს არის საფლავის ქვა ებრაული წარწერით, აგრეთვე საქართველოში გათხრების დროს აღმოჩენილი ებრაელი სამარხეული მასალა, რომელიც I, II, III, IV საუკუნეებით თარიღდება.

ბ-ნმა თემურ იაკობაშვილმა სწორედ აღნიშნა, რომ მსოფლიოს ვერც ერთ მუზეუმში ვერ ნახავთ ებრაული დიასპორის ესოდენ ძველ, ნივთიერ ძეგლებს, გარდა საქართველოსი.

ეს ჩვენი, ებრაელების და საქართველოს, ერთობლივი სიამაყეა.

ხელოვნებათმცოდნე **ლელა წიწუაშვილი:**

– მოგესალმებით, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, იმიტომ რომ დღეს ამ მუზეუმში უკვე მესამედ წარმოვადგენთ ებრაული კოლექციის გამოფენას და მინდა უდიდესი მადლობა მოვახსენო ბ-ნ დავით ლორთქიფანიძეს და ეროვნული მუზეუმის თითოეულ თანამშრომელს, ვისი დახმარებითაც მოხერხდა, უკვე მესამედ, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოფენის მოწყობა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ისრაელის ელჩს, ბ-ნ იცხაკ გერბერგს. დიდი მადლობა თამილა მგალობლიშვილს, იულონ გაგოშიძეს, რომელთა დახმარების გარეშეც ეს გამოფენა არ იქნებოდა ასეთი მრავალფეროვანი, იმ უძველესი არტეფაქტების წყალობით, რომელიც წარმოდგენილია დღეს გამოფენაზე. მივესალმები სემინარის მონაწილეებს: ამ სემინარის ერთ-ერთ წინამძღვარს ბენ-ცვის ინსტიტუტის დირექტორს ბ-ნ იომ ტოვ ასისს, ასევე დღეს მობრძანებულ სტუმრებს.

გამოფენა გაგრძელდება 25 აგვისტომდე, გმადლობთ ყურადღებისთვის და მობრძანებისთვის.

პროფესორი **რუბენ ენოხი:**

– უპირველეს ყოვლისა, ძალიან დიდი მადლობა ამ

გამოფენის მოწყობის ავტორებსა და მონაწილეებს. ეს პროექტი დააფინანსა ისრაელის საელჩომ და ჩვენმა ებრაულმა ისტორიულმა სემინარმა, რომლის წყალობითაც ყველას მიეცემა შესაძლებლობა გაიცნოს უნიკალური ებრაული კულტურის ნიმუშები.

რაც შეეხება ამჟამინდელ სემინარს, იგი ტრადიციულია, არსებობის ათეულ წელს ითვლის. ყოველი წელს, ხანდახან წელიწადში ორჯერაც, ეწყობა ამგვარი მოგზაურობა დიასპორის რომელიმე ქვეყანაში. საქართველოში ეს სემინარი პირველად ჩამოვიდა და ამჟამინდელი მოგზაურობის ხელმძღვანელიც იომ ტოვ ასისი გახლავთ, ასევე თქვენი მონამორჩილი რუბენ ენოხი და პროფესორი შალომ ცაბარი.

გამოფენის გახსნის შემდეგ პირველად პროფესორ **რუბენ ენოხს (ენუძაშვილს)** გავესაუბრეთ:

– ბ-ნო რუბენ რა თემებს შეეხეთ სემინარზე?

– ვეცნობით ცხოვრებას, რომლითაც ცხოვრობდნენ ქართველი ებრაელები აქ საუკუნეების განმავლობაში. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, სალოცავებს, ასევე სასაფლაოებს, თუმცა, არც ამით შემოვიფარგლებით, ვცდილობთ ადამიანების ცხოვრებას გავეცნოთ, მათ პირობებს და საერთოდ ქვეყანას. სწორედ ამიტომ გახლდით გელათში, ნიკორწმინდაში და კიდევ ძალიან ბევრ ისტორიულ და საინტერესო ადგილზე.

– რამდენ ხანს გრძელდება სემინარი?

– სემინარი 9-დღიანი გახლავთ. დღეს უკვე ჩამოთვალეს ის ქვეყნები, საიდანაც არიან ჩამოსული სემინარის მონაწილენი. სამწუხაროდ, 9 დღეზე მეტ ხანს ვერ ხერხდება დარჩენა, თუმცა, მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ ეს 9 დღე არის აბსოლუტურად დატვირთული. დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე ჩვენ ვმოგზაურობთ ავტობუსებით, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ზოგიერთ ადგილზე ფეხით გადავაადგილდებით, თუმცა, ესეც არ არის ყველაფერი. ამ სემინარს თავისთავად მეცნიერული დანიშნულება აქვს, იკითხება მოხსენებები, სულ 18 მოხსენება უნდა იყოს წაკითხული ქართველ ებრაელთა ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

მოხსენებების, ასე ვთქვათ, წამკითხველნი, ლექტორები ჩვენ სამნი: იომ ტოვ ასისი, შალომ ცაბარი და მე გახლავართ. სამი მოხსენება დამატებითია და მათ წარმოგვიდგენენ ისრაელის ელჩი ბ-ნი იცხაკ გერბერგი – ისრაელისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ, ჩემმა ვაჟმა წაიკითხა ლექცია ქართველ ებრაელთა საქართველოს ეკონომიკაში მონაწილეობის შესახებ, მესამე მოხსენებას ბ-ნი შოთა ბოსტანაშვილი შემოგვთავაზებს ქართველ-ებრაელთა სალოცავების თაობაზე.

უნდა მოგახსენოთ, რომ ლომის წილი პროფესორ ას-

(დასასრული მე-8 გვერდზე)

„ხესედში“ თავისი საქმის მოყვარული ადამიანები არიან

(გვესაუბრება „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორი რევაზ შათაშვილი)

— ბ-ნო რევაზ, დავიწყოთ „ხესედ ელიაჰუს“ დაარსებიდან. რამდენი წელია „ხესედი“ მოქმედებს თბილისში?

— „ხესედ ელიაჰუ“ თბილისში 1997 წელს გაიხსნა. მოგეხსენებათ, ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო და „ხესედმა“ დიდი როლი ითამაშა, ჩვენი თემის არაერთი წევრის სიცოცხლის გადარჩენაში.

1997 წლიდან, როდესაც „ხესედი“ გაიხსნა, მაშინ აღრიცხვაზე 600-650 ადამიანი იმყოფებოდა. დღეს ეს ციფრი დაახლოებით 1400-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, აღრიცხვაზე არის 600 ბავშვი 16 წლის ასაკამდე.

ამ წლების განმავლობაში საკმაოდ სტაბილურად ვმოღვაწეობდით. „ხესედის“ ყველა პროგრამა მუშაობს იმისათვის, რათა აღრიცხვაზე მყოფ სამეურვეო პირებს შეუმსუბუქოს პრობლემები, გადაალახვინოს სირთულეები და გაუადვილოს ცხოვრების პირობები.

„ხესედში“ 9 პროგრამა მოქმედებს. თუმცა, ძირითად — მატერიალურ დახმარებასთან ერთად ვცდილობთ კულტურულ-სულიერი გარემო შევუქმნათ ჩვენს სამეურვეო პირებს, რათა თავი კომფორტულად, მშვიდად და ხალისიანად იგრძნონ, რაც დღევანდელ დღეს აბსოლუტურად ყველას ესაჭიროება.

ჩვენ გვესმის, ჩვენთან მოსულ ადამიანს ძალიან უჭირს და ბევრი პრობლემაც აქვს. ამიტომ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ მათ სათანადო დახმარება გავუწიოთ. ჩვენ არ ვართ სახელმწიფო სტრუქტურა და ყველაფერს ვაკეთებთ მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში, ეს კი შეიძლება არ იყოს საკმარისი. დამერწმუნეთ, რომ არა „ჯოინთის“ მყარი, ყოველწლიური დახმარება ჩვენი ორგანიზაცია ვერ იარსებებდა.

— როდის დაიწყეთ „ხესედში“ მოღვაწეობა?

— 1998-2000 წლებში ვმუშაობდი სამედიცინო პროგრამაში ჯერ ექიმ-ვოლონტიორად, შემდეგ კი პროგრამის დირექტორად. 2000 წლიდან კი „ხესედის“ დირექტორი გახლავართ. იცით, „ხესედი“ ისეთი ორგანიზაციაა, სადაც დაუშვებელია გულგრილობა, აუცილებელია ადამიანის თანადგომა. თანაც მოგეხსენებათ, პროფესიით ექიმი გახლავართ და მიჩვეული ვარ ადამიანების გაჭირვების გაზიარებას..

— ვრცლად ვისაუბროთ „ხესედში“ არსებულ პროგრამებზე, თქვენ თქვით, რომ ასეთი 9 პროგრამაა...

— დიახ და ვფიქრობ, ცხრავე წარმატებულად ასრულებს თავის მისიას.

დავიწყოთ დღის ცენტრით, რომელიც „ხესედში“ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პროგრამად ითვლება. ეს პროგრამა განკუთვნილია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გარეთ გასვლა. ამიტომ არსებობს 5 ჯგუფი, თითოეული 11-13 ადამიანითაა დაკომპლექტებული და ხუთი დღის განმავლობაში ისინი მიკროავტობუსის საშუალებით მოგვყავს ებრაულ სახლში. მთელი დღის მანძილზე ეს ადამიანები „ხესედში“ იმყოფებიან, ურთიერთობენ ერთმანეთთან, უყურებენ ტელევიზორს, დაკავებულნი არიან ხელსაქმით, მონაწილეობენ ამა თუ იმ ღონისძიებაში. ჩვენ სასადილოში მათ შეუძლიათ მიირთვან ლანჩი და უკვე შემდეგ მიგვყავს ისინი უკან სახლში. დამერწმუნეთ ყოველი ასე გატარებული დღე მათთვის დღესასწაულის ტოლფასია. პროგრამის ხელმძღვანელია ე. ხახმიგელი.

კვების პროგრამა, რომლის ხელმძღვანელი პოლინა კრასიკია, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ყოველდღე 45 მწოლიარე ავადმყოფი, არატრანსპორტაბელური ადამიანი, ღებულობს ცხელ სადილს ბინაზე. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ამზადებენ ლანჩს დღის ცენტრის სამეურვეო პირთათვის და საბავშვო ბაღის ბავშვებისთვის.

პროგრამა „მაღაზიის“ საშუალებით, ყველა სამეურვეო პირს აქვს სასურსათო პლასტიკური ბარათი, რომელზეც ყოველთვიურად ერიცხებათ თანხა. ამ თანხის საშუალებით მათ შეუძლიათ აღნიშნულ მაღაზიაში სურვილისამებრ აირჩიონ სასურველი პროდუქტი.

სამედიცინო პროგრამაზე საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ თქვენი გაზეთის წინა ნომერში. პროგრამა ძალიან აქტუალურია.

მოვლა ბინაზე — ამ პროგრამის ხელმძღვანელი რივა კრუპნიკია. ეს არის საკმაოდ დიდი პროგრამა. პროგრამაში აღრიცხვაზე 125 სამეურვეო პირია - მწოლიარე ავადმყოფები, ინვალიდები, მარტოხელები, რომლებიც საჭიროებენ ბინაზე მოვლას. მათ ბინაზე მოვლას ახორციელებს 35 მომვლელი ქალბატონი, რომლებიც ეხმარებიან მათ, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებაში, ბინიდან გაყვანა-გასეირნებაში, მაღაზიაში პროდუქტის შეძენასა და სადილის გაკეთებაში. ამას ყველაფერს ჩვენი კარგად მომზადებული კადრები პროფესიონალურ დონეზე აკეთებენ.

სამედიცინო ინვენტარის გაქირავების პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმული ადამიანებისათვის ყავარჯნის, ტროსტის, ეტლის და სხვა საჭირო ნივთების უსასყიდლოდ გაცემას. საქართველოში არ არის ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ასეთი ასორტიმენტი სარეაბილიტაციო ინვენტარზე. ჩვენთან აღრიცხვაზე 400-მდე ხანდაზმულია, რომელიც ასეთ დახმარებას საჭიროებს. ამ პროგრამის ხელმძღვანელი სიმა შიმშილაშვილი გახლავთ. იგი დიდი ხნის მანძილზე მუშაობს ჩვენთან და თავის საქმის პროფესიონალია.

პროგრამა კურატორები, რომელშიც ნატაშა ზასლავსკაია და თეა მიხელაშვილი მუშაობენ, ძალიან შრომატევადია, პრინციპში როგორც ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამა. ამ ადამიანებმა უნდა იცოდნენ თითოეული სამეურვეო პირის პრობლემა, რომელიც უნდა მოიტანონ „ხესედში“, გადასცენ შესაბამის პროგრამას სათანადო დახმარების აღმოსაჩენად.

მოკედი არის პროგრამა, სადაც ჩვენივე სამეურვეო პირები თავიანთი პროფესიიდან და ფიზიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე ეხმარებიან ასევე დანარჩენ სამეურვეო პირებს. ეს იქნება ვთქვათ, საკეტის შეკეთება, ფანჯრის შუშის ჩასმა და ბევრი ისეთი წვრილმანი, რომლის გაკეთებას თავად ხანდაზმული ვერ შეძლებს.

მონაცემთა ბაზა — არის საინფორმაციო პროგრამა, რომელიც ქმნის და ინახავს სამეურვეო პირზე შეგროვებულ ყველა მონაცემს, ყველა სამეურვეო პირის პირად საქმეს და აწარმოებს მათზე გაწეული ნებისმიერი დახმარების აღრიცხვას. საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელია ლ. ღამბაშიძე.

კლუბი — მისი ხელმძღვანელი ლალი დავითაშვილი გახლავთ. კლუბში პრაქტიკულად ყოველი დღე არის გაწერილი, თქვენც არაერთხელ შესწრებიხართ მრავალ ღონისძიებას და ალბათ, ხედავთ თუ რამხელა სიხარულია ხანდაზმულებისათვის აქ ერთად შეკრება და დღესასწაულების აღნიშვნა.

ტარდება შეხვედრები ფსიქოლოგებთან. ძალიან ბევრი ადამიანი საჭიროებს ამას და საბედნიეროდ, ჩვენი ფსიქოლოგებიც პოულობენ დროს იმისათვის, რომ ყოველ მათგანს დროულად გაუწიონ დახმარება.

— კერძო პირებისგან თუ იღებთ ფინანსურ დახმარებას?

— არა, ამ ეტაპზე კერძო პირებისგან დახმარებას არ ვიღებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრს აქვს დახმარების გაწევის სურვილი, მაგრამ საამისოდ მათ ეკონომიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევს.

— რამდენი ადამიანი მუშაობს ახლა თქვენთან?

— სამწუხაროდ, ჩვენი კონტინგენტი შემცირდა. დღეს 25-მდე ადამიანი მუშაობს ჩვენთან. თუმცა, აუცილებლად მინდა ვთქვა ის, რომ „ხესედში“ სიცოცხლე კვლავაც ჩქეფს და მინდა აღვნიშნო, რომ ეს ყველაფერი ჩვენი თანამშრომლების აქტიურობის, თავიანთი საქმის პატრიოტიზმის და პროფესიონალიზმის დამსახურებაა.

ამ ადამიანების ენთუზიაზმი, საქმისადმი ერთგულება და სიყვარული უდიდეს საქმეს გვაკეთებინებს და ძალიან ხშირად, მადლობის წერილებში იქნება ეს თუ პირადად ჩვენი სამეურვეო პირები გამოხატავენ სითბოს და ბედნიერებას, რომ „ხესედი“ არსებობს.

— რა პრობლემები აქვს დღესდღეობით „ხესედს“?

— „ხესედი“ ისეთი ცოცხალი ორგანიზაციაა, სადაც შეუძლებელია პრობლემა არ იყოს, ყოველდღიურად სამსახურში მოსვლისას არ იცი რა პრობლემა გელოდება. ჩვენ კი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველნაირად ვცდილობთ გადავჭრათ ეს პრობლემები.

აქვე მინდა აღვნიშნო და მადლობა გადავუხადო „ხესედის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს — რავ ავიმელეხ როზენბლატს, რომელიც გვერდში გვიდგას და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაგვეხმაროს პრობლემების გადაწყვეტაში.

— რამდენადაც ვიცით, მალე 60 წლის გახდებით, როგორ ხვდებით ამ საიუბილეო თარიღს?

— ღვთის შეწევნით იმის სურვილით, რომ იმ ადამიანებისათვის, ვინც საჭიროებს მხარდაჭერასა და დახმარებას ყველაფერი გავაკეთო.

— დიდი მადლობა საუბრისთვის.

ჩაიწერა ლიდია ხომენკომ

ქართულ-ებრაული ოაზისი ისრაელში

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

მიუხედავად მშობლიურ ქართულ გარემოსთან განშორებისა და წინაპართა ისტორიულ სამშობლოში საბოლოოდ დამკვიდრებისა, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილისათვის საქართველო კვლავაც რჩება ყოველდღიური ყოფის სისხლხორცეულ ნაწილად. ჩვენს ქვეყანასთან ამ ადამიანთა ამგვარ სულიერ სიახლოვესა და რომანტიკული სიყვარულით გაჯერებულ დამოკიდებულებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან გამართული შეხვედრების დროს.

ამ შეხვედრების მთავარმა ინიციატორმა და ორგანიზატორმა, ქართული და ებრაული სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა რუბენ ენუქაშვილმა (ენოხმა) ძალა და ენერგია არ დაიშურა საიმისოდ, ისრაელში ჩვენი ვიზიტი, რაც შეიძლება წარმატებული და მრავალმხრივ საინტერესო ყოფილიყო.

ისრაელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკაციანი დელეგაცია ამ უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. გიორგი ონიანის, პროფ. ომარ გვეტაძისა და ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით ქალაქ არიელის სამარიის საუნივერსიტეტო ცენტრის მიწვევით 2010 წლის 5-10 ივნისს სტუმრობდა.

ისრაელში ჩვენი წასვლის უმთავრესი მიზანი ხსენებულ საუნივერსიტეტო ცენტრსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის დასამყარებლად ხელშეკრულების გაფორმება იყო. წინასწარ გამართულ მოლაპარაკებათა შედეგად, ამ ხელშეკრულების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად უკვე იყო გამოკვეთილი ერთობლივი მუშაობის გამართვა ისრაელში მოღვაწე მწერალთა მიერ შექმნილი ქართულენოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ისრაელში მრავალი ქართულენოვანი წიგნი, ჟურნალი და გაზეთი გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოცემათა ავტორების დიდმა ნაწილმა ივრითიც კარგად იცის, ბევრი მათგანი საკუთარი ნაფიქრ-ნააზრევის გამოხატვას, პირველ ყოვლისა, მაინც ქართულ ენაზე არჩევს.

ნათქვამის დასტურად, აქ თუნდაც იცხაკ დავიდს გავიხსენებ, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერსა და პოლიგლოტს, მსოფლიოს რამდენიმე აკადემიის (მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისაც) წევრს, რომელიც თავის პოეტურ ქმნილებებს ქართულ ენაზე წერს. ჩვენთან შეხვედრით უსაზღვროდ გახარებული ბატონი იცხაკი ისეთი სიყვარულითა და ემოციური აღგზნებით საუბრობდა საქართველოზე, რომ ყოველგვარი ზედმეტი არგუმენტაციის გარეშე დავრწმუნდით ამ მოვლენის კანონზომიერებაში.

მართალია, ისრაელში მოღვაწე მწერალთა მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხატვრული თვალსაზრისით აშკარად სუსტია და ნაკლებად ღირებული, მაგრამ მათ შორის ლიტერატურული ღირსებებით გამორჩეული ქმნილებებიც გვხვდებიან. არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართველ ებრაელთა ეს შემოქმედებითი მონაგარი ჩვენი მწერლობის ერთ-ერთ საგულისხმო შენაკადს წარმოადგენს და იგი ჩვენგან უსათუოდ იმსახურებს მეტ პროფესიულ ინტერესს.

ისრაელში ჩვენი ვიზიტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც სწორედ ეს გახლდათ – პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ებრაელთა ქართულენოვანი ლიტერატურის შესასწავლად. აღნიშნული მიმართულებით გასაწევ ჩვენს მუშაობას კიდევ უფრო მასშტაბურს ხდის ის ფაქტი, რომ ამ პროცესში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის წარმომადგენლებიც იქნებიან აქტიურად ჩართულნი.

ხსენებული პროექტის წარმატებას გარანტირებულს ხდის ის ფაქტიც, რომ მის დასაფინანსებლად ორივე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უკვე გამოყო საჭირო თანხა. როგორც ჩვენს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების დროს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. გიორგი ონიანი და არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პრეზიდენტი, პროფ. დან მეიერშტეინი შეთანხმდნენ, ზემოთ აღნიშნული მიზნის რეალურად განსახორციელებლად უახლოეს პერიოდში ორივე მხარის მონაწილეობით შედგება მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის ისრაელის ქართულენოვან მწერლობას და კვლევის შედეგების განმაზოგადებელ ნაშრომს ცალკე წიგნად გამოსცემს ქართულ და ებრაულ ენებზე.

რახან სიტყვამ მოიტანა, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ქართულ და ებრაულ უნივერსიტეტებს შორის ხსენებული ვიზიტის დროს გაფორმებული ხელშეკრულება მრავალმხრივი ხასიათისაა და ურთიერთობის დამყარებას ითვალისწინებს როგორც პროფესორ-მასწავლებლებს, ისე სტუდენტებს შორის. ამ თვალსაზრისით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი უნივერსიტეტის რექტორმა იმითაც გადადგა, რომ არიელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალშიც მიიღო აქტიური მონაწილეობა და ჩვენს უნივერსიტეტებს შორის კავშირურთიერთობის გაღრმავების მიზნით ებრაული მხარე უახლოეს პერიოდში ქუთაისში მოიპატიჟა.

* * *

იმის გამო, რომ ისრაელში ჩვენი ყოფნის ექვსივე დღის განმავლობაში იერუსალიმში ვიყავით დაბინავებულები და არიელის უნივერსიტეტში დაგეგმილ საქმიან შეხვედრებზე იქიდან დავდიოდით (ქალაქი არიელი იერუსალიმიდან 50 კილომეტრითაა დაშორებული), შესაძლებლობა გვქონდა საფუძვლიანად გავცნობოდით ამ ბიბლიური ქალაქის რელიგიურ სიწმინდეებსა და ისტორიულ სიძველეებს.

პირველი ადგილი, სადაც ბატონმა რუბენმა მეორე დილითვე წაგვიყვანა, ჯვრის მონასტერი იყო. მიუხედავად

ხელმოწერის ცერემონიალი ქ. არიელის საუნივერსიტეტო ცენტრში.

იმისა, რომ ეს წმინდა ადგილი პირველად შვიდი წლის წინათ მქონდა ნახნახი, შოთა რუსთაველის სახელთან სისხლხორცეულად დაკავშირებული და ისრაელში ჩვენი ქვეყნის ერთგვარ სიმბოლოდ ქცეული ამ ისტორიული ძეგლის ხელმეორედ სანახავად ტურნირში თანამშრომლობის ხელმოწერის მომენტი მაინც განსაკუთრებული მღელვარებით მივიჩქაროდი. გარდა იმისა, რომ ჯვრის მონასტრის ყოველი ხილვა ქართველი კაცის ცნობიერებაში ემოციური სიმძაფრით აცოცხლებს ჩვენი ისტორიის როგორც ბრწყინვალე, ისე ტრაგიკულ ეპიზოდებს, ჩვენს მღელვარებას ის ბარბაროსული დამოკიდებულებაც განაპირობებდა მნიშვნელოვანწილად, რომელიც მონასტერში არსებული რუსთაველის ფრესკისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმართული დიდი პოეტის ბარელიეფის მიმართ გამოავლინეს ბოლო წლებში ახალი დროის ვანდალებმა. სამწუხაროდ, მიუხედავად ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა და სამართალდამცველთა აქტიური მცდელობისა, ამ ვანდალიზმის ჩამდენ ბოროტმოქმედთა ვინაობა დღემდე არაა დადგენილი.

მონასტრის ამჟამინდელმა მეპატრონეებმა – ბერძენმა სასულიერო პირებმა ამ ვანდალური აქტის ჩადენიდან რამდენიმე დღეში რუსთაველის ფრესკა ნაჩქარევად და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, არაპროფესიულ დონეზე, აღადგინეს, ბარელიეფზე გამოსახული პოეტის სახე კი დღესაც წაშლილია და ჩამომტვრეული.

განსხვავებით ბერძენი სასულიერო პირებისაგან, რომლებიც მონასტერში მისულ ქართველებს მაინცდამაინც დიდი ხალისით არ ხვდებიან, ებრაელთა (უპირველეს ყოვლისა, ქართველ ებრაელთა) დიდი ნაწილი ამ ადგილისადმი განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას იჩენს. ჯვრის მონასტრისადმი მათი ამგვარი დამოკიდებულება უწინარესად, იმითაა განპირობებული, რომ ბევრი ებრაელის ცნობიერებაში იგი ფაქტობრივად საქართველოსთანაა ასოცირებული.

ზემოთქმულის დასტურად აქ თუნდაც იმ ფაქტის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომ ჯვრის მონასტრისაკენ მიმავალ ხეივანს, ბერძნული მხარის პროტესტისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსთაველის სახელი ჰქვია.

სამწუხაროდ, ჯვრის სამონასტრო კომპლექსი ჟამთა შემუსვრას დღესდღეობით გადარჩენილი ერთადერთი ქართული ისტორიული ძეგლია იერუსალიმში; ერთადერთი იმ ათეულობით ძეგლთაგან, რომლებიც ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ აქ წარსულში აგებული. კერძოდ, ნიკო მარის ცნობით, ადრინდელ შუა საუკუნეებში მარტო იერუსალიმსა და მის შემოგარენში ოცზე მეტი ქართული ეკლესია და მონასტერი არსებულა, ხოლო ნაზარეთში – ორმოცამდე. დღესდღეობით იერუსალიმის გარეუბნად ქცეულ სოფელ მალხაში კი ქრისტეს საფლავის მცველი ქართული ჯვარი ყოფილა დაბანაკებული.

ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ ქრისტეს საფლავის დაცვის საქმეში ქართველთა პრივილეგიურ როლს არაერთი უცხოელი მოგზაურიცა და ისტორიკოსიც აღნიშნავს. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის თქმით, ქართველები „წმინდა ქალაქის" კარიბჭეში თურმე გაშლილი დროშებით შედიოდნენ, შეიარაღებულნი და ცხენებზე ამხედრებულნი; ხოლო XIV საუკუნის გერმანელი მოგზაურის ინფორმაციით, ქრისტეს საფლავის ტაძრის გასაღები ქართველების კუთვნილება იყო.

ამ და მსგავსი ცნობების უტყუარობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს, მეხუთე საუკუნის დასაწყისში შესრულებულ, ქართულ წარწერათა რამდენიმე ნიმუში სწორედ აქ, ბეთლემში, აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ.

ადგილი, სადაც ჯვრის მონასტერია აღმართული, ქართლის გაქრისტიანებისათვის მადლობის ნიშნად უბოძებია საჩუქრად მირიან მეფისთვის რომის კეისარ – კონსტანტინეს IV საუკუნეში. ამ ადგილს განსაკუთრებულ რელიგიურ სიწმინდეს სძენდა ის ფაქტი, რომ მაცხოვარი სწორედ აქ მოჭრილ ხეზე აცვეს ჯვარს. გადმოცემის მიხედვით, ამ ადგილზე პირველი მონასტერი ქართველებს V საუკუნეში აუგიათ, XI საუკუნეში კი ქართველ სასულიერო მოღვაწეს – პროხორეს იქ უკვე დიდი სამონასტრო კომპლექსი აუშენებია.

ჯვრის მონასტერი ნამდვილად ქართველების მიერ რომ ყოფილა აგებული, ამ ფაქტს მონასტრის დღევანდელი მეპატრონე ბერძნებიც არ ხდიდნენ სადავოდ ბოლო დრომდე. მაგალითად, ბერძნული ეკლესიის იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ 1965 წელს გამოცემულ წიგნში – „ჯვრის მონასტერი" ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეს მონასტერი XI საუკუნეში ააგეს (თუ აღადგინეს) ქართველმა ბერებმა.

აღნიშნულ ცნობას ისიც ადასტურებს რომ ჯვრის მონასტერს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებშიც ჰქონია საკუთარი მამულები და მის შესანახად ქართველი მეფეები და დიდგვაროვანნი გულუხვად გასცემდნენ შესაწირავებს.

ჯვრის მონასტრის როლსა და ადგილს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ იქ მყოფი სასულიერო პირები ღვთისმსახურებასთან ერთად, აქტიურ საღვთისმეტყველო, სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდნენ.

XIII საუკუნის ბოლოს მონასტერს ეგვიპტის სულთანი დაპატრონებია და მეჩეთად გადაუკეთებია. XV-XVI საუკუნეებში ქართველებს კვლავ მოუხერხებიათ მონასტერში დაბრუნება, თუმცა მონასტრის ბინადარნი მათთან ერთად ამჯერად უკვე ბერძნებიცა და სომხებიც გამხდარან. სამწუხაროდ, მონასტრის განსხვისების ხანგრძლივი პროცესი XVII-XVIII საუკუნეებში იმით დასრულდა, რომ ჩვენს ისტორიულ სიმდიდრეს საბოლოოდ ბერძნები დაეპატრონენ. გულსატკენი ამ შემთხვევაში ისიც არის, რომ მონასტრის ახალი მესაკუთრენი მიზანმიმართულად ცდილობენ იქ არსებული ქართული ნაკვალევის ძირფესვიანად წაშლასა და აღმოფხვრას.

დროთა განმავლობაში ასე დაიკარგა და განადგურდა მონასტრის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერების დიდი ნაწილი, კედლებზე გამოსახულ ქართველ მეფეთა და ღვთისმსახურთა ფრესკებისა და ქართულ წარწერათა უმეტესობა კი დღეს იავარქმნილია და წაშლილ-გადაღებილი. აგერ სულ რაღაც ორმოცდაათიოდე წლის წინათ ასეთივე ბედი ეწია მონასტრის ცენტრში, იატაკზე, არსებულ ქართულ წარწერა-მოწოდებასაც: „სდექით მტკიცედ და შეურყევლად!"

ჯვრის მონასტერში მისული ქართველისთვის ყველაზე მეტი დაინტერესების საგანს, ბუნებრივია, შოთა რუსთაველის ფრესკა წარმოადგენს. მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, პოეტს თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები სწორედ აქ გაუტარებია და მისი საბოლოო განსასვენებელიც აქვეა – მისი სურათის ქვემოთ. პირველი წერილობითი ცნობა აღნიშნული პორტრეტის შესახებ ცნობილი ქართველი მწერლისა და მოგზაურის – ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაში" გვხვდება. მას იერუსალიმში 1755-1758 წლებში ყოფნის დროს უნახავს და აღუწერია რუსთაველის ფრესკა. შემდგომში დიდი პოეტის პორტრეტი ჯვრის მონასტერში სხვა მოგზაურებმაც ნახეს და აღწერეს. კერძოდ, 1883 წელს – ალექსანდრე ცაგარელმა, 1900 წელს კი პეტრე კონჭოშვილმა. ხოლო 1901 წელს მონასტერში მისულ ნიკო მარს პორტრეტი უკვე აღარ

დახვედრია.

რუსთაველის ფრესკა ხელმეორედ 1960 წელს აღმოაჩინეს ჯვრის მონასტერში ამ მიზნით წარგზავნილი სამეცნიერო ექსპედიციის წევრებმა: აკაკი შანიძემ, გიორგი წერეთელმა და ირაკლი აბაშიძემ. მიუხედავად იმისა, რომ ვანდალთა ხელყოფას დიდი პოეტის პორტრეტი ვერც ამის შემდეგ გადაურჩა, მისი აღდგენილი ვარიანტი მნახველზე მაინც ახდენს მძაფრ შთაბეჭდილებას. პორტრეტი მონასტრის ცენტრალური დარბაზის პირველ სვეტზეა გამოსახული ცნობილი სასულიერო მოღვაწეების – მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფრესკებს შორის, მათი მუხლების ქვემოთ. მხატვარს რუსთაველი ერისკაცის ტანსაცმელში დაუხატავს – ყარყუმის წითელი მოსასხამით შემოსილი პოეტი ცისკენ მუხლმოდრეკით ხელებაპყრობილი ევედრება ღმერთს. აქვეა ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერაც: „ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან, ამინ!“

სპეციალისტთა აზრით, რუსთაველის პორტრეტის ამ ადგილზე დახატვით ისიცაა მინიშნებული, რომ იგი იქვე, ამ პორტრეტის ქვემოთ, უნდა იყოს დასაფლავებული. სამწუხაროდ, მონასტრის ამჟამინდელი მეპატრონენი ამ და მსგავსი ისტორიული ცნობების დასაზუსტებლად საჭირო არქეოლოგიური თუ სხვა სახის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, რის გამოც მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული ბევრი მოსაზრება კვლავაც ვარაუდის დონეზეა დარჩენილი.

იმის გამო, რომ კვირა იყო, მონასტერი დაკეტილი დაგვხვდა და პირველ დღეს მისი მხოლოდ გარედან დათვალიერების შესაძლებლობა მოგვეცა. ქვის მაღალი გალავნით შემოსაზღვრული საკმაოდ დიდი ტერიტორია საიმედოდაა დაცული. მონასტრის საცნობარო დაფაზე არსებული წარწერაც და მის თავზე აღმართული ბერძნული დროშაც მნახველს ერთმნიშვნელოვნად აუწყებენ, რომ ეს ისტორიული ძეგლი ბერძნების კუთვნილებას წარმოადგენს.

როგორც ვიზუალურადაც კარგად ჩანს, ამ ადგილზე მთელი კომპლექსი ყოფილა განთავსებული – დიდი ტაძარი, ბერების საცხოვრებელი ოთხასამდე სენაკი, სემინარია, ბიბლიოთეკა, სატრაპეზო, სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე ნაგებობანი, ხეხილით დამშვენებული ვრცელი ეზო...

* * *

ისრაელში ჩვენი სტუმრობის ამბავი ფაქტობრივად თითქმის მთელ ქართველ ებრაელობაში გახმაურდა. ისრაელის ქართულენოვანმა რადიომ (ხელმძღვანელი რუბენ ენუქაშვილი, მთავარი რედაქტორი და წამყვანი მერი ამშიკაშვილი) მეორე დღეს გადაცემის უდიდესი ნაწილი ჩვენთან სატელეფონო ინტერვიუებს დაუთმო. მკითხველს აქვე ვეტყვი იმასაც, რომ ხსენებული რადიოგადაცემა 15 წუთის განმავლობაში ყოველდღიურად გადის ეთერში 13 საათსა და 30 წუთზე და მას ფაქტობრივად ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწილი ცხოველი ინტერესით ისმენს.

როგორც სატელეფონო ზარების ინტენსივობამ დაგვარწმუნა, ასეთი ინტერესი არც ჩვენდამი მოძღვნილ გადაცემას აკლდა. ეთერში გადაცემის გასვლიდან მოყოლებული, რადიორედაქციისა და ბატონ რუბენის ტელეფონებზე გაუთავებლად რეკავდნენ ნაცნობ-მეგობრებიცა და სრულიად უცნობი პიროვნებებიც და დაბეჯითებით ითხოვდნენ ჩვენთან შეხვედრას.

ქუთაისელთათვის კარგად ცნობილმა ჟურნალისტმა იუზა ფიჩხაძემ კი მის ოჯახში ჩვენს საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზე ქართველ ებრაელთა მრავალ ცნობილ წარმომადგენელს მოუყარა თავი.

მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი შეხვედრა გვქონდა ისრაელში 1973 წლიდან შეუწყვეტლად გამომავალი ქართულენოვანი გაზეთის – „ალია საქართველოდან“ უცვლელ რედაქტორ-გამომცემელ აბრამ საპირთან (სეფიაშვილთან) და მთელ შემოქმედებით კოლექტივთან. ბატონი აბრამი, რომელმაც ისრაელში ჩვენი სტუმრობის ამბავი რადიოთი შეიტყო, ტელეფონით შეგვეხმიანა და ჩვენთან შეხვედრის დიდი სურვილი გამოთქვა. ქალაქ რეხოვოთში მდებარე სახლი, სადაც ამჟამად გაზეთის რედაქციაა განთავსებული, გარედან ქართულენოვანი აბრითაა დამშვენებული. ქუჩაში გამოშუქებული ქართული სიტყვის მადლი გაცილებით უფრო მძაფრად შენობის შიგნით იგრძნობა, სადაც რედაქციის მცირერიცხოვანი კოლექტივი აგერ უკვე 37 წელიწადია კვირაში ორგზის გამომავალ დიდი ფორმატის მქონე 16-16 გვერდიან ქართულენოვან გაზეთს ამზადებს.

ქართველ ებრაელებთან გამართულ შეხვედრათა ერთგვარ გვირგვინად იქცა საქართველოში გამომგზავრების დღეს ისრაელის მწერალთა კავშირში გამართული საღამო, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გენერალური დირექტორი, ცნობილი პოეტი და მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი და ისრაელის ქართულენოვანი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თამარ კეზერაშვილი. მწერალთა კავშირში გამართულ ამ შეხვედრას, სადაც ომარ გვეტაძის მიერ ქართულად თარგმნილი ორციონ ბართანას ლექსების კრებულისა და ჩემი წიგნების („ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“ და „ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურული და ჟურნალისტურ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, ტომი მეორე“) პრეზენტაციაც გაიმართა, ქართველ ებრაელთა მრავალრიცხოვან წარმომადგენლებთან ერთად ისრაელის მწერალთა ფედერაციის თავმჯდომარე ეფრაიმ ბაუხიც დაესწრო.

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში ჩვენი ყოფნის ყოველი დღე გამორჩეულად ღირსსახსოვარი იყო, იქაურ შთაბეჭდილებათა ყველაზე ემოციურ ნაწილად მაინც წმინდა მიწაზე არსებული ბიბლიური ადგილების დათვალიერება იქცა. იერუსალიმსა და, საერთოდ, მთელს ისრაელში ამ თვალსაზრისით სანახავი იმდენად ბევრია, ყველაფრის მონახულებას ასე ხანმოკლე დროის განმავლობაში ვერაფრით მოახერხებ.

თუმცა ბატონი რუბენის მეგზურობით ბევრი რამის ნახვა მაინც შევძელით. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი როლი იმ ფაქტმაც შეასრულა, რომ ისრაელში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში იერუსალიმში მოგვიხდა ცხოვრება. მართალია, თანამედროვე ცხოვრების მღელვარე რიტმმა იერუსალიმის ყოველდღიურ ყოფაზეც მოახდინა მძალვრი ზეგავლენა, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული სამი რელიგიის სამშობლოდ ქცეულ ამ მარადიულ ქალაქში ფეხის პირველივე დადგმისთანავე მაინც თვალნათლივ იგრძნობთ, რომ იგი დღესაც ბიბლიური წარსულით ცოცხლობს და არსებობს.

ამ რწმენას არა მარტო აქ არსებული ისტორიული სიძველეები და სამივე რელიგიის სალოცავები განგვიმტკიცებენ, არამედ ქალაქის ქუჩებში მრავლად მოსიარულე მორწმუნენიც, რომლებიც თავიანთი ჩაცმულობითაც და ქცევის მანერებითაც გამოირჩევიან საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებით მთელი იერუსალიმია სავსე, ყველაზე მრავლად ისინი მაინც ე. წ. მორწმუნეთა უბნებში გვხვდებიან. გრძელ, შავ მოსასხამებსა და შავ კოსტუმებში გამოწყობილი, დიდი, შავი ცილინდრებით თავდახურული და ლოყაზე ნიკაპამდე ჩამოგრძელებულკულულებიანი მორწმუნენი, რომელთა შორის დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებიც ხშირად გვხვდებიან, იდუმალ ფიქრებში ჩაძირულნი და გარესამყაროსაგან განმარტოებულნი, თითქოს მუდამ სადღაც მიიჩქარიან.

მიუხედავად რელიგიური რწმენის ამგვარი სიძლიერისა, ებრაელები სხვა სარწმუნოებებსაც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან და არა მარტო თავიანთ სალოცავებს უვლიან და პატრონობენ, არამედ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებსაც და მაჰმადიანურ მეჩეთებსაც. ამის დასტურად აქ თუნდაც იმ ფაქტის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომ გოდების ფართოდ ცნობილ კედელთან ერთად, იერუსალიმის სიმბოლოდ მათ ომარის ოქროსგუმბათოვანი მეჩეთიც აქვთ ქცეული.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებასაც მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება: ქვეყანაში, სადაც ფასები თვით ყველაზე მოთხოვნად საგნებზეც კი წარმოუდგენლად დიდია (მაგალითად, ნახევარლიტრიანი პლასტმასის ბოთლით უბრალო წყალი ზოგან ჩვენს ფულზე გაანგარიშებით ხუთ ლარზე მეტიც კი ღირს, ხოლო საქალაქო ავტობუსით მგზავრობა თითქმის ოთხი ლარია), ბიბლიური ადგილების დათვალიერება სრულიად უფასოა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ისრაელს ამ ადგილების სანახავად ყოველდღიურად უამრავი ტურისტი სტუმრობს, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება, ბიბლიურ ღირსშესანიშნაობათა დამთვალიერებელთათვის თუნდაც მინიმალური გადასახადის დაწესებით ქვეყანას რა დიდი შემოსავალიც გაუჩნდებოდა. ამის მიუხედავად, ებრაელები ასეთი რამის გაკეთებისაგან შეგნებულად იკავებენ თავს; თუმცა, ტურისტული ბიზნესიდან ისინი ყოველწლიურად მაინც იღებენ მილიარდობით შემოსავალს.

იერუსალიმის წმინდა ადგილების დათვალიერებას ბატონი რუბენი ქვის გალავნით შემოსაზღვრული ძველი ქალაქის გაცნობით გვაწყებინებს. ავტომანქანებითა და ტურისტებით გადაჭედილ ვიწრო ქუჩაში მანქანის დასაყენებელი ადგილის ძლივ-ძლივობით მოძებნის შემდეგ პირველად გოდების კედლის სანახავად მივდივართ. ძველი ქალაქის კარიბჭეში ყოველ შემსვლელს საგულდაგულოდ ამოწმებენ ჯარისკაცები და ჯარისქალები. ისრაელში ამგვარი შემოწმებანი ჩვეულებრივი ამბავია – თვითმკვლელი ტერორისტების ავანტიურისტულ ქმედებათაგან საზოგადოების დასაცავად, ყველა ხალხმრავალი ადგილი, როგორც წესი, მკაცრად კონტროლდება.

გოდების კედლის სანახავად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოსულ უამრავ ადამიანს ჩვენც ვუერთდებით და ებრაელთა ტრაგიკული ისტორიის სიმბოლოდ ქცეული ამ უწმინდესი ნანგრევების დათვალიერებასთან ერთად უდაბნოს მწველ სიცხეში კედელთან საათობით განმარტოებულ ებრაელ მლოცველებსაც ინტერესით ვაკვირდებით, რომლებიც ტანისა და თავის მონოტონური რხევით აღასრულებენ ლოცვისა და ღმერთთან იდუმალად მიახლების რელიგიურ რიტუალს.

მიუხედავად იმისა, რომ გოდების კედელი ებრაელთა სალოცავი ადგილია, ფართოდ დამკვიდრებული ტრადი-

გაზეთ „ალიას“ რედაქციაში: აბრამ საპირი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ომარ გვეტაძე.

ციის შესაბამისად, აქ სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა მქონენიც მიდიან და ფურცელზე ჩამოწერილი თავიანთი სათხოვრების კედლის ნაპრალში მოთავსებით ღმერთს მათ შესრულებას შესთხოვენ.

გამძაფრებულნი, ინტერესით ვათვალიერებთ მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებულ წმინდა ადგილებს, უამრავ მორწმუნეთა შორის უფალს ანთებული სანთლებით ჩვენც მოწიწებით აღვუვლენთ ლოცვას და თაყვანისცემით ვუყრით მუხლს. ხანგრძლივი დროით რიგში დგომის შემდეგ იმ სენაკშიც შევდივართ, სადაც ყოველ აღდგომას ციდან ღვთაებრივი ცეცხლი გადმოდის ნიშნად იმისა, რომ უფალი მუდამ ჩვენთანაა და ჩვენი გადარჩენისთვის ზრუნავს.

ქრისტეს საფლავიდან იმ ადგილის სანახავად მივდივართ, სადაც ღვთაებრივი ფსალმუნების შემქმნელი დავით წინასწარმეტყველია დასაფლავებული. აქვეა აღმართული მისი ქანდაკებაც – ქნარმომარჯვებული და ზეცისკენ თვალებაპყრობილი. ამ ადგილის ისტორიულ მნიშვნელობასა და რელიგიურ სიწმინდეს კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ ებრაელთა ამ უდიდესი მეფის საფლავის უკან მისი დროის სეფერთორაცაა გამოკრული. იქვე, მახლობლად, მის დროინდელ ჭასაც ვნახულობთ და ოწინარით ამოღებული წყლით გაგრილებულნი თითქოს ათასეული წლების წინანდელ ბიბლიურ სამყაროსთანაც ვამყარებთ სიმბოლურ კავშირს.

ისრაელის ბიბლიური ადგილებისა და ჯვრის მონასტრის დათვალიერებამ ბატონი ომარ გვეტაძე პოეტურად იმდენად აღაგზნო, რომ ამ შთაბეჭდილებათა საფუძველზე იქ ყოფნის პერიოდში ქართველ ებრაელებში უკვე საკმაოდ პოპულარული ორი მშვენიერი ლექსიც დაწერა.

იერუსალიმის უძველეს ქუჩებში სეირნობის შემდეგ ბე-

(დასასრული მე-6 გვერდზე)

ცხადება ტენდერი

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედ ელიაჰუ“ აცხადებს ტენდერს სახელწოდებით „აფთიაქი“.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ იურიდიულ პირებს, აფთიაქებისა და აფთიაქების ქსელის მფლობელებს, შეუძლიათ გაეცნონ ტენდერის პირობებს „ხესედ ელიაჰუ“-ს ადმინისტრაციაში. მისამართი: ქ.თბილისი, ვახტანგ VI ქ. №30, II სართული, ადმინისტრაცია.

სასურველია, აღნიშნული აფთიაქები განლაგებულნი იყვნენ ავლაბარში და გააჩნდეთ კომპიუტერული სისტემა.

ტენდერის პირობების გასაცნობად საჭიროა წარმოდგენილი იქნას შემდეგი დოკუმენტები:

1. იურიდიული პირის წესდების ასლი;
2. სარეგისტრაციო მოწმობის ასლი;
3. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი;
4. ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო ტელეფონი;
5. ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;
6. ცნობა ბანკიდან იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციის ანგარიში მოქმედია და არ ერიცხება საბიუჯეტო დავალიანება.

დოკუმენტების მიღება და ტენდერის პირობების გაცნობა იწარმოებს 2010 წლის 31 ივლისამდე „ხესედ ელიაჰუ“-ს ადმინისტრაციაში.

საკონტაქტო ტელეფონი: 77-20-82

ისრაელის ქართველი ებრაელობა საქართველოს საიმედო დასაყრდენია!

— ამბობს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი გიორგი ონიანი, რომელიც ისრაელიდან ახლახან დაბრუნდა.

— ბატონო გიორგი, ვიდრე პირდაპირ ინტერვიუზე გადავიდოდე, მინდა ჩვენს მკითხველს რამდენიმე შტრიხი შევთავაზო თქვენი ბიოგრაფიიდან, რადგან გთხოვთ, მაამებლობლად ნუ ჩამითვლით და არაორდინალური პიროვნება ბრძანდებით.

— კეთილი.

„აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მიერ საძირკველჩაყრილი ქართული მათემატიკური აზროვნების მეცნიერული სკოლა მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული, ხოლო ანდრია რაზმაძის, ილია ვეკუას, ვახტანგ პარკაძის, ვიქტორ კუპრაძის, ივანე კიღურაძის და მრავალი სხვა სახელმოხვეჭილი ქართველი მათემატიკოსის ნაშრომები სპეციალისტთა სამაგიდო წიგნად არის ქცეული. არცთუ დიდი ხნის წინათ ჩვენს ცნობილ მათემატიკოსთა კოჰორტას კიდევ ერთი ახალი სახელი შეემატა — ეს გიორგი ონიანი გახლავთ“.-ვკითხულობთ წიგნში „ჩვენი ღირსეული მამულიშვილები“, თბილისი, 2007 წ. გვ. 208.

1995 წელს გიორგი ონიანმა ბრწყინვალედ დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის ასპირანტურაში განაგრძო სწავლა. 1996 წლის ნოემბერში მან ასევე ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია და 23 წლის ასაკში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. გავიდა სულ რაღაც ორი წელი და ახალგაზრდა ნიჭიერმა მათემატიკოსმა უკვე სადოქტორო დისერტაციაც ბრწყინვალედ დაიცვა.

1999-2004 წლებში გიორგი, როგორც გამორჩეული ახალგაზრდა მეცნიერი, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი, უფრო ადრე კი ერთი წლის განმავლობაში სოროსის გრანტის მფლობელი იყო.

1997 წელს ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის დოცენტია, 2000 წლიდან დღემდე ამავე კათედრის პროფესორი გახლავთ და ქართული მათემატიკური სკოლის ახალგაზრდა კადრებს ზრდის.

2005 წლის 14 თებერვლიდან დღემდე ამ უნივერსიტეტის რექტორია.

— საიდან და როგორ შემოვიდა ებრაელობა თქვენს ცნობიერებაში?

— ვიზრდებოდი ქუთაისში, ქალაქის ცენტრალურ უბანში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე, ეზოში, სადაც ცხოვრობდა ორი ქართველის და ორი ებრაელის ოჯახი. 21 წლის განმავლობაში, ვიდრე ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ავიდოდნენ, ერთმანეთის გვერდი-გვერდ ვიყავით. მე კარგად მახსოვს მათი კეთილმეზობლობა, დელიკატურობა. ჩემთვის დღემდე ნიმუშად რჩება მათი ერთგულება ოჯახისა და დასახული მიზნის მიმართ. ვფიქრობ, სწორედ ყველაფერმა ამან შეძლო ადეკვატური შთაბეჭდილების ჩამოყალიბება ებრაელი ერის დამახასიათებელ ძირითად თვისებებზე.

ჩვენი ურთიერთობა იმდენად კეთილი იყო, როცა ქალაქგარეთ გავდიოდით, ჩვენი ბინის გასაღებს მათ ვუტოვებდით. დედაჩემს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ცხოვრებაში მას ძალიან ბევრი ასწავლა ქალბატონ დინა ფიჩხაძესთან ურთიერთობამ. ამ ოჯახის შვილები და მე მეგობრები ვიყავით, ერთად ვერთობოდით, ისინი დღესაც ჩემს მეგობრებად რჩებიან. იურა და თემურ ფიჩხაძეები-პიერის გვარს ატარებენ და ქალაქ ბათ-იამში ცხოვრობენ.

მთელი სამეზობლო-ლერა, სვეტა, ირინა, მათი მშობლები 16-წლიანი განშორების შემდეგ შევხვდით ერთმანეთს. იყო სიხარულის ცრემლი, მოფერება, ფიქრთა კორიანტელში ამოტივტივდა ერთად გატარებული დღეების მოგონებები და ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რაოდენ სანატრელი, საყვარელი და ძვირფასი ვართ ერთმანეთისათვის; ამ 16-წლიანმა განშორებამ კი არ დაგვაშორა, პირიქით, უფრო გაამლიერა, გააღრმავა და შეადუღაბა ჩვენი მეგობრობა!

აი, მოკლედ ჩემი ემოციური დამოკიდებულება ებრაელი ერის მიმართ, ხოლო ის, რაც გონების თვალით მინახავს, წამიკითხავს, მსმენია, თუ გამიაზრებია ებრაელი ერის შესახებ, აქ ორიგინალური ვერ ვიქნები და გვერდს ვერ ავუვლი დადგენილ ჭეშმარიტებას: ებრაელობა ბიბლიური ერია, რომელსაც მსოფლიოს კულტურისა და მსოფლიოს მეცნიერების განვითარებისათვის უზარმაზარი დამსახურება მიუძღვის, რაც უდავოდ, ავალდებულებს დანარჩენ სამყაროს, პატივი სცენ ებრაელობას.

— ისრაელში პირველად ბრძანდებოდით. რა შთაბეჭდილება მოახდინა იერუსალიმმა და გოდების კედელმა?

— იერუსალიმზე ანუ იერუშალაიმზე მრავალი ქებათა-ქება მსმენია. ეს ქალაქი მსოფლიოს სამი დიდი რელიგიის-ქრისტიანობის, იუდაიზმის და მუსულმანების სარწმუნოებრივი ცენტრია. ბუნებრივია, მომლოცველებისათვის იერუსალიმში თუნდაც ერთხელ მაინც ჩასვლა, მათი ცხოვრებისეული სულიერი მოთხოვნილებაა. იმის მიუხედავად, რომ იერუსალიმი თანამედროვე ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს, მის არც ერთ უბანში არა ხარ მოკლებული ბიბლიურობის განცდას ანუ ამ ქალაქის რომელ უბანშიც არ უნდა იყო, გიჩნდება განცდა, რომ ეს არ არის მხოლოდ მიწიერი განზომილებების ქალაქი. აქ ხომ დიდი, ძალიან დიდი სულიერებაა დავანებული. ხოლო, როცა იერუსალიმის გულისგულში აღმართულ გოდების კედელთან-ებრაული სამყაროს სანუკვარ ადგილთან ახვალ, მყისვე ნათლად გრძნობ ყოველივე იმას, რაც კი რწმენის თვალსაზრისით განუცდია ებრაელობას. შეუძლებელია, ამ კედელთან იდგე და არ გაიზიარო, არ განიცადო მიზიდულობის ის მაგიური ძალა, 26 საუკუნის მანძილზე ასე ძალუმად, თან რომ დევდა ებრაელობას. აქ ყველაფერი თითქო ღვთიური შუქითაა გაცისკროვნებული და შენც უნებლიედ გეუფლება ზეაწეული განცდა, თითქო მიწაზე არ დააბიჯებ!..

— რა მიზანს ისახავდა თქვენი მივლინება?

— ჩვენი მიზანი იყო ქალაქ არიელის უნივერსიტეტთან სამეცნიერო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. ამ ფაქტს ხელი შეუწყო ადრე საქართველოში მოღვაწე შესანიშნავი პროფესიონალის, პროფესორ რუბენ ენუქაშვილის (რეუვენ ენოქის) ფაქტორმა, რომელიც ამჟამად არიელის უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ.

ჩვენ შეხვედრა გვქონდა უნივერსიტეტის პრეზიდენტთან, პროფესორ დან მაიერსტეინთან. ამ შეხვედრაზე შედგა ურთიერთგაცნობითი საუბარი საუნივერსიტეტო პრიორიტეტების შესახებ, ინფორმაციების გაცვლა, რის შედეგადაც ხელი მოეწერა მემორანდუმს და მემორანდუმის ფარგლებში დაისახა კონკრეტული კვლევითი პროექტი ქართულენოვანი ებრაელი მწერლების შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით.

პროექტში ჩართული არიან გელათის აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ებრაული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი, პოეტი ომარ გვეტაძე, არიელის უნივერსიტეტიდან რუბენ ენუქაშვილი და პოეტი, მწერალი ორციონ ბართანა.

სწავლულთა ეს ჯგუფი წარმართავს კვლევას და გაეცნობა მასალებს, როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში, ფინანსური თვალსაზრისით ორივე მხარე იღებს ვალდებულებებს. პროექტი ერთწლიანია.

— ბუნებრივია, ოფიციალური შეხვედრების გარდა, საქართველოდან ასულ ებრაელებთან მეგობრულიც გექნებოდათ. რომელს გამოყოფდით?

— ქართველმა ებრაელებმა იცოდნენ ჩვენი ვიზიტის შესახებ. მათ დიდი ინტერესი გამოხატეს ჩვენთან შეხვედრისა. ამ შეხვედრებმა ნათლად დამანახა და ღრმად დამარწმუნა, რომ მათთვის ქართული კულტურული სივრცე უძვირფასესია.

ქუთათურთათვის ცნობილმა ჟურნალისტმა, ამჟამად იერუსალიმში მცხოვრებმა, ბატონმა იუზა ფიჩხაძემ ოჯახში მიგვიწვია, სადაც მეგობრულ ვახშამზე თავი მოიყარეს ქართველ ებრაელთა შემოქმედებითი წრის წარმომადგენლებმა.

საქართველოში წამოსვლის წინ საინტერესო შეხვედრა გვქონდა თელ-ავივის მწერალთა კავშირში, რომლის ინიციატორები იყვნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ეფრაიმ ბარუხი და მწერალი და მთარგმნელი თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი. შეხვედრაზე აღინიშნა ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილისა და ბატონ რუბენ ენუქაშვილის თაოსნობით წამოწყებული კვლევის პერსპექტივები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, ის საოცრად გულთბილი დამოკიდებულება და დიდი მადლიერების გრძნობა ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილის მიმართ, ყველაფერი იმისთვის, რასაც იგი აკეთებს ქართული ებრაული თემისათვის.

პროფესორმა ომარ გვეტაძემ იქ ორი ლექსი დაწერა, რომელთაგან ერთი იერუსალმს მიეძღვნა, მეორე კი ჯვრის მონასტერს. მან ამ შეხვედრაზე ეს ლექსები „დააჭაშნიკა“, რომელთაც მსმენელის აღტაცება გამოიწვია.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ბატონ რუბენ ენუქაშვილის ყურადღება ჩვენს მიმართ. ორციონ ბართანა, ცნობილი ისრაელი მწერალია, მანაც თავი დაგვახსომა გულღია მასპინძლობითა და ჩვენდამი საოცარი კეთილგანწყობით.

და რაც ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ჩვენ ქართველები დიასპორას მოკლებული ვართ, ძლიერი დასაყრდენი სხვადასხვა ქვეყნებში არა გვყავს. ისრაელში ამ ერთკვირიანმა სტუმრობამ ნათლად დამარწმუნა, რომ საქართველოს ძალიან ძლიერი და საიმედო დასაყრდენი ჰყავს მსოფლიოში ჩვენი ქართველი ებრაელობის სახით, რაც უდავოდ, ორივე ერის ღირსებაა!

— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

ესაუბრა ვიოლეტა ბუზიაშვილი

თლემში წასასვლელად ბატონ რუბენს ქალაქის იმ ადგილას მივყავართ, სადაც ებრაული და არაბული ნაწილების ერთმანეთისაგან გამმიჯნავი შვიდი მეტრი სიმაღლის ბეტონის კედელია აღმართული. ებრაელთა მიერ ბოლო წლებში აშენებული ეს კედელი დღეს ისრაელის ტერიტორიის დიდ ნაწილზეა გავლებული, რათა ებრაულმა მხარემ არაბებით დასახლებულ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ტერორისტების ავანტიურისტულ ქმედებათაგან დაიცვას თავი.

იმის გამო, რომ ბეთლემი (ქართულად პურის სახლს ნიშნავს) სწორედ ასეთ სეპარატისტულ რეგიონში მდებარეობს, ქვეყნის იმ ნაწილში მოხვედრის ყოველმა მსურველმა ფაქტობრივად გაძლიერებული სასაზღვრო შემოწმება უნდა გაიაროს. რადგანაც იმ მხარეზე ებრაელთა გადასვლა ძალზე სარისკოა, ბატონი რუბენი საკონტროლო პუნქტთან დროებით გვემშვიდობება და საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ კედლის მეორე მხარეს გადავდივართ.

სასაზღვრო ზონიდან გამოსვლისთანავე ერთბაშად ვგრძნობთ, რომ ფაქტობრივად სხვა სახელმწიფოში მოვხვდით. პატარა მოედანი ტაქსებითაა სავსე, იქვე, სახელდახელოდ მოწყობილ ბაზრობაზე, მოვაჭრენი ხმამაღალი მიპატიჟებით იწვევენ მუშტრებს სასმელი წყლების, ათასგვარი ხილეულისა და საკვები პროდუქტების შესაძენად. სასაზღვრო პუნქტიდან ახლადგადმოსულ ყოველ შესაძლო მუშტარს ტაქსის მძღოლები ალყაში აქცევენ და თავიანთი მანქანებისკენ ეპატიჟებიან.

ბეთლემში მდებარე მაცხოვრის შობის ადგილამდე აქედან მხოლოდ შვიდიოდე კილომეტრია. ჩვენი ენაწყლიანი მძღოლი აქტიურად ცდილობს სხვა ადგილების დათვალიერებაზეც დაგვითანხმოს, რითაც გასამრჯელოს ოდენობას გაზრდის. გზად მიმავალმა ერთ-ერთ ჯიხურთან მანქანა შეაჩერა, ჩვენებური ლავაშის მსგავსი პური გვიყიდა, საბარგულიდან ცივი სასმელები ამოიღო და ჩამოგვირიგა. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ყველაფერი ტაქსის მძღოლებისთვის დამატებითი საზღაურის მიღების საკმაოდ სარფიან ხერხს წარმოადგენს.

ბეთლემშიცა და იერუსალიმშიც ყოფნის პერიოდში ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმაც, რომ იქ არსებული ქრისტიანული ტაძრებისა და ეკლესიების კარებსა და კედლებზე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დროშაზე წითლად გამოსახული ხუთი ჯვრის გრაფიკული კომპოზიციაც გვხვდება ხოლმე საკმაოდ ხშირად.

ჩემი ისრაელური შთაბეჭდილებების ეს ფრაგმენტული ჩანაწერი მინდა ერთი პატარა ეპიზოდის გახსენებით დავასრულო. როცა აეროპორტში მისულებმა თვითმფრინავში ჩასასხდომად საჭირო ყველა პროცედურა გავიარეთ და ბატონ რუბენს დავემშვიდობეთ, შევამჩნიეთ, რომ გრძნობებმორეულ ჩვენს მეგობარს თვალები აუწყლიანდა.

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ვიდრე ჩვენ და ჩვენს ებრაელ მეგობრებს თვალებში ერთმანეთთან გამომშვიდობების შედეგად გაჩენილი გულისწყვეტის ამგვარი ცრემლი არ გაგვიშრება, მანამდე ჩვენი ძმობა და მეგობრობა მტკიცე და უჩრდილო იქნება.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი

მოსა

„და ელაპარაკა მოშე ტომის მეთაურებს“.
რაში გვიხსნის, რომ მოშე თორას ჯერ ასწავლის ტომის მეთაურებს, რითაც მიაგებს მათ პატივს, და შემდეგ ყველა ებრაელს.

როცა ებრაელებს იფთახი მართავდა, მან ძალიან უცნაური ნედერი (აღთქმის დადება) შეუთქვა გამჩენს. მან სთქვა, რომ თუ ის მტერზე გაიმარჯვებს, მაშინ გამჩენს შესწირავს იმას, ვინც პირველი გამოვა მისი სახლის კარიდან. კარიდან კი მისი ქალიშვილი გამოვიდა და არსებობს ორი აზრი იმაზე, თუ რა მოიმოქმედა იფთახმა: 1. მან შესწირა ქალიშვილი 2. მან ის მთებში, გამოქვაბულში გამოამწყვდია და მიუსაჯა მარტო ცხოვრება, მას არ შეეძლო არავისთან ურთიერთობა და გათხოვება.

მაგრამ ისმის კითხვა, რატომ არ მიმართა იფთახმა თორის მცოდნე ბრძენს ნედერის საკითხის გადასაჭრელად. გვიხსნიან, რომ მან არ მოინდომა ფინხასთან წასვლა, რადგანაც ის თვლიდა, რომ არ ეგების მეფეს წინასწარმეტყველთან მისვლა (არა მეფის პატივისცემის გამო). ფინხასი კი თვლიდა, რომ არ ეგების წინასწარმეტყველს მეფესთან მისვლა.

მაგრამ საქმე ხომ იფთახის ქალიშვილის სიცოცხლის შენარჩუნებას ეხება? მაშ, რატომ არ მივიდა ფინხასი? გვიხსნის გურის (ბეით ისრაელ) რებე (კურთხეულია მისი ხსოვნა), რომ ბრძენს ნედერის საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მაშინ, როცა ნედერის მთქმელი სცნობს მის ავტორიტეტს და თავს ხრის მის წინაშე. იფთახი არ იხრიდა ქედს ფინხასის წინაშე, და ამიტომაც არ მივიდა ფინხასი მასთან, მაინც ვერ შესძლებდა ნედერის შეცვლას. თუ ასეა, მაშინ, რატომ ამბობენ ჩვენი ბრძენები, რომ ფინხასი გამჩენმა დასაჯა? იმისათვის რომ არ მივიდა იფთახთან? შესაძლებელია, რომ თუ ის იფთახთან მივიდოდა, იფთახი დაინახავდა მის თავმდაბლობას და თვინიერებას და სცნობდა მის ავტორიტეტს. მოშე რაბეინუ ხომ თავად ეწვია დათანსა და ავირამს კორახის აჯანყების დროს იმ მიზნით, რომ მოათვინიერებდა მათ გულებს.

და ასევეა, როცა ებრაელები ხედავდნენ, თუ რა პატივს მიაგებდა მოშე რაბეინუ ტომის მეთაურებს, ასწავლიდა რა თორას ჯერ მათ, თავადაც ხრიდნენ თავს მათ წინაშე. მაგრამ ტომის მეთაურნიც გამჩენის მორჩილნი იყვნენ. ასევეა ხალხშიც, ადამიანების თავმდაბლობა და მორჩილი ხასიათი ამაღლებს მათ ავტორიტეტს და ამით ისინი უფრო დიდ გავლენას ახდენენ თემზე.

„iS kiiadar neder“ – ადამიანი როცა დადებს აღთქმას.

ადამიანს ცხოველისაგან მისი მეტყველების უნარი განასხვავებს. და შეცდომა იქნება, თუ ჩავთვლით, რომ სიტყვებს ძალა არა აქვთ. მათ კოლოსალური ძალა აქვთ. ამიტომ, საკუთარ სიტყვებს ძალიან დიდი ყურადღებით უნდა დავუკვირდეთ. ნედერის კანონებიდან ვხედავთ, რომ ადამიანს საკუთარ ბაგეთა ძალით შეუძლია საკუთარ თავს აუკრძალოს რაიმე, და ეს მისთვის თორის აკრძალვის ტოლფასი იქნება, თუმცა, თავისთავად ის, რაც მან საკუთარ თავს აუკრძალა, სხვებისათვის სულაც არაა აკრძალული. სიტყვის ძალის გასაგებად ასეთ რეალურ ისტორიას მოგიყვებით: ერთხელ, ქორწილის დროს გარდაიცვალა სიძის დედა. ის ცეკვის დროს დაიღუპა. რა იყო ამის მიზეზი? სიძე – გარდაცვლილის ვაჟი მესამედ დაქორწინდა. პირველ ცოლს ის გაეყარა, მეორე კი - მოუკვდა. დედა კი, შვილისათვის კეთილის მსურველი იყო და ასე სთქვა: მე ვლოცულობ, რომ ამქვეყნიდან ისე არ წავიდე, შვილის ქორწილი რომ არ ვნახოო.” და, თუმცა ის ამას იმედით და ლოცვით წარმოსთქვამდა, ალბათ, აკრძალულია ასეთი სიტყვებით ლოცვა.

მსგავსი ისტორია ქალაქ ფეთახ–თიკვაშიც მოხდა: როცა ეს ქალაქი დააარსეს და პირველ სასაფლაოს აკეთებდნენ, ერთმა ახალგაზრდამ ხუმრობით წარმოსთქვა: „მე წინააღმდეგი არა ვარ ამ ქალაქში პირველი მიცვალებული ვიყოო“. იმავე კვირაში ის გარდაიცვალა. ეს ისტორია კი მისი საფლავის ქვაზეა ამოტვიფრული.

როდესაც რაბი რაიზნერს ასაფლავებდნენ, მისი ერთ-ერთი მეგობარი ყვიროდა: „მე არ შემიძლია უმისოდ, მე ისე ძალიან მენატრება ის, რომ უკვე ვეღარ ვძლებ.“ იმავე დღეს ის ავტოკატასტროფაში მოყვა და დაიღუპა.

მეორეს მხრივ, სიტყვას დადებითი ძალაც გააჩნია კარგი გაგებით. ამიტომ ადამიანი ყოველთვის უნდა ეცადოს სხვათაგან კურთხევა დაიმსახუროს.

ერთ ხასიდურ ისტორიაში მოთხრობილია მამაკაცზე, რომელიც თავის რებესთან წავიდა დღესასწაულზე. ადგილზე დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა. რაბიმ დაინახა ის და უთხრა სახლში წასულიყო. ხასიდს ძალია გაუკვირდა, მაგრამ არაფერი ჰკითხა და გაბრუნდა უკან. გზაში მას სხვა ხასიდები შეხვდნენ. ისინიც რებესთან მიდიოდნენ. ყველანი ერთად სამიკიტნოში შევიდნენ, კარგად ჭამეს და სვეს და რებესთან წავიდნენ. მეორედ რებემ ხასიდი მიიღო და დღესასწაულის შემდეგ ასეთი რამ უთხრა: „პირველად რომ ჩამოხვედი, შენს გვერდით „მალახ ჰამავეთი“ (სიკვდილის ანგელოზი) დავინახე და სახლში გაგიშვი, რადგანაც არ მინდოდა აქ მომკვდარიყავი. მაგრამ მეორედ რომ ჩამოხვედი, ის აღარ გახლდა. ხასიდმა მოუყვა, თუ რა გააკეთა გზაში. რებემ უთხრა: „სმის დროს ალბად იმდენჯერ გითხრეს ლეხაიმ (სიცოცხლეს „გაუმარჯოს“), რომ გააგდეს სიკვდილის ანგელოზი.

გამჩენმა ქნას, რომ ჩვენი ბაგენი სავსე იყოს ლოცვებით, ფსალმებით (გამჩენის განდიდებით) და თორის სიტყვებით. ნედერის (აღთქმის) თქმას კი მოერიდეთ. განსაკუთრებით ჩვენს დროში, როცა ხალხი ისეთი ძლიერი აღარაა, და შეიძლება, გამჩენმა ნუ ქნას, ვერ შეასრულოთ ის“.

ისრაელი

სტატისტიკური მონაცემები

ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემების თანახმად, ისრაელში 5.47 მილიონი ებრაელი, 1.46 მილიონი არაბი და 315 ათასი ადამიანია, რომელთა ეროვნებაც ოფიციალურად არ არის დარეგისტრირებული.

ისრაელში უფრო მეტი ქალია, ვიდრე მამაკაცი. 1000 ქალბატონზე ისრაელში 977 მამაკაცი მოდის, თუმცა, ამავე დროს, 35 წლამდე ასაკის ადამიანებში მამაკაცები ჭარბობენ. „75 და მეტი“ ასაკობრივ კატეგორიაში 1000 ქალბატონზე 673 მამაკაცია. ქალბატონების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 82.2 წელი, ხოლო მამაკაცებისა — 78.5 წელია.

ისრაელში მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალიან დიდია — 310 ადამიანი კვ.კმ-ზე.

ქვეყნის ცენტრში, ცხოვრობენ თითქმის ისეთივე სივიწროვეში, როგორც ინდოელები; ქვეყნის ებრაული მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (48.4%) დასახლებისათვის ისრაელის ცენტრი აირჩია , საბოლოო ჯამში ქვეყნის ცენტრში მოსახლეობის სიმჭიდროვე ადამიანს კვ. 1.974 კმ-ზე შეადგენს.

ებრაელების მხოლოდ 10% ცხოვრობს ჩრდილოეთში, სადაც თავმოყრილია არაბული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (45%). ერთ კვადრატულ კილომეტრზე აქ 269 ადამიანი მოდის, იმ დროს როცა ქვეყნის სამხრეთით ფართის იგივე ერთეულზე მხოლოდ 72 ადამიანია განთავსებული.

ისრაელის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქებია — ბნეი-ბრაკი (20.266 ადამიანი კვ. კმ-ზე), ბათ-იამი (15. 785 ადამიანი კვ. კმ-ზე), გივატაიმ (15. 428 ადამიანი კვ. კმ-ზე) და კირიათ-მოცკინი (10.449 ადამიანი კვ. კმ-ზე).

ისრაელში ყოველ 41029 ქორწილზე 11030 განქორწინებაა.

41029 წყვილიდან, რომლებმაც დაარეგისტრირეს ქორწინება, 31284 (76%) ებრაულია, 8280 (20%) — მუსლიმი.

ყოველ ებრაელ ქალზე საშუალოდ 2.88 გავშვია. ებრაული ოჯახების 61% ჰყავთ გავშვები, 26% უშვილოა, გავშვიანი ებრაული ოჯახის მხოლოდ 6% არ არის სრული. შედარებისათვის: არაბული ოჯახების მხოლოდ 9% არ ჰყავთ შვილები და არაბული სექტორის 4% არ არის სრული.

ისრაელის მოსახლეობის მესამედზე ოდნავ ნაკლები—გავშვები და მოზარდები არიან.

ისრაელის მოსახლეობა შედარებით ახალგაზრდაა: მოსახლეობის 28% შეადგენენ 14 წლამდე ასაკის გავშვები (ევროპის ქვეყნების უმეტეს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 17%). 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანები ისრაელის მთლიანი მოსახლეობის 10% შეადგენენ.

ყველა ებრაელმა გავშვმა იცის რა არის საგავშო გაღი.

ისრაელს მსოფლიოში უკავია ლიდერის პოზიციები გავშვთა რაოდენობის მხრივ, საგავშვო გაღში დასწრების შემთხვევაში.

ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემების თანახმად, გაღებში ისრაელელი გავშვების 3-4 წლამდე 100% დადის.

ყოველი მეხუთე ისრაელელი 20-დან 29 წლამდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია.

ისრაელის მოქალაქეების 20% 20-დან 29 წლამდე სწავლობს უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში, რომლებიც გასცემენ უმაღლესი განათლების დიპლომებს.

2007 წელს ხაიფის ტექნიონმა მსოფლიო პრესტიჟულ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებს შორის 38-ე ადგილი დაიკავა — რეიტინგის თანახმად, რომელიც ჯაო ტონგის (შანხაი) უნივერსიტეტის მიერ იქნა გამოქვეყნებული. ისრაელის უმაღლესმა სასწავლებელმა გაასწრო ევროპის ყველა ტექნიკურ სასწავლებელს, ბრიტანული კემბრიჯის (მე-16 ადგილი), იმპერიალ-კოლეჯის (27-ე ადგილი), ლოზანნას ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (28-ე ადგილი) გამოკლებით და გაუსწრო ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანია, ნიდერლანდები, საფრანგეთი და იტალია. ჩინური ვერსიის (ჯაო ტონგის უნივერსიტეტი) თანახმად, 2006 წელს იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი მე-60 ადგილს იკავებდა, „ტექნიონი“ ამავე რეიტინგის თანახმად, 115 ადგილს იკავებდა, თელ-ავივის უნივერსიტეტი — 116-ე, ბარ-ილანის უნივერსიტეტი — 303-ე, ბენ-გურიონისა — 304-ე, ხაიფის უნივერსიტეტი კი — 467-ე ადგილს.

ისრაელს გააჩნია:

2007 წელს ეკონომიკური ზედის ეს მაჩვენებელი 4079 დოლარით გაიზარდა და 31,767 დოლარს მიაღწია. ასეთი მონაცემები გამოაქვეყნა ისრაელის ბანკმა ავტორიტეტულ „World Economic Outlook“ გამომცემლობაზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს ისრაელი რეიტინგში მხოლოდ 21-ე ადგილს იკავებდა. ისრაელს უმნიშვნელოდ უსწრებს საფრანგეთი (31,872 დოლარით), გერმანია (32,178 დოლარით). ამასთან ერთად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD), რომლებსაც ასევე „მდიდარი ქვეყნების კლუბს“ უწოდებენ, საშუალო მაჩვენებელი ქვეყნებისათვის 32,098 დოლარს შეადგენს.

26-ე ადგილი რეიტინგში ბიზნესისთვის ყველაზე, უფრო ხელსაყრელ ქვეყნებს შორის.

პირველი ადგილი მსოფლიოში მილიონერებისა და მულტიმილიონერების რიცხვის ზრდაში.

(გაგრძელება იქნება)

(მე-2 გვერდიდან)

სისზე მოდის და გუშინ ერთ-ერთი მოხსენების დამთავრების შემდეგ გამოვთქვი კიდეც აღტაცება მის მიერ გაწეული უდიდესი შრომის მიმართ. ქართველი ებრაელების შესახებ არსებული ყველა მასალა მოიძია ყველა ენაზე სამწუხაროდ, ქართულის გარდა.

მხატვარი **იაკობ ფიჩხაძე**:

– თბილისში ჩამოვედი ბიზნესისა და სახვითი ხელოვნების საკითხებთან დაკავშირებით და მინდა გითხრათ, ძალიან მოხარული ვარ, რომ დაემთხვა გამოფენის გახსნა ჩემს ვიზიტს.

ვისურვებდი, რომ ქართველი ებრაელი მხატვრების გამოფენაც, რომლებიც მიმოფანტულები არიან სხვადასხვა ქვეყნებში ძალიან მალე ჩატარებულიყოს საქართველოში.

აქ წარმოდგენილი ნაწარმოებები თავად ლაპარაკობენ თავიანთ თავზე, კობოშვილი, როგორც თვითნასწავლი შემოქმედი, ვფიქრობ, იმსახურებს ქართული სახვითი ხელოვნების საგანძურში ღირსეულ ადგილს და მე იმედს ვიტოვებ, რომ იგი აუცილებლად შევა.

სემინარი ებრაულ სახლს ეწვია

6 ივლისს თბილისის ებრაულ სათემო სახლს საქართველოში მყოფი საქართველოს ებრაელების ისტორიის სემინარის წევრები ესტუმრნენ.

საქართველოში ყოფნის მე-9, ანუ ბოლო დღეს სემინარის ორგანიზატორები და მისი მონაწილეები თბილისის ებრაულ სათემო სახლს ეწვივნენ.

მათ წინაშე გამოვიდა „ჯოინთის“ თბილისის ოფისის ხელმძღვანელი **ზურაბ დავითაშვილი**. იგი გაეცნო საზოგადოებას უამბო, თავისი ბიოგრაფია, თუ როგორ მოხვდა იგი „ჯოინთში“, რა მიზანს ემსახურება ეს ორგანიზაცია, ვის ეხმარება და ა.შ.

ამის შემდეგ სტუმრებს დაათვალიერებინეს და გააცნეს თბილისის ებრაულ სათემო სახლში არსებული პროგრამები, კერძოდ კი „ხესედ ელიაჰუს“ მუშაობა, რომლის დირექტორიც ბ-ნი რევაზ შათაშვილია. „ხესედ ელიაჰუს“ სამსახურზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია და ყველასათვის ცნობილია თუ რაოდენ დიდ საქმეს ეწევა იგი, როგორ ეხმარება ხანდაზმულებს თავისი მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი პროგრამებით, ასევე გამორჩეულია ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის უამრავი არაჩვეულებრივი პროგრამა, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებზეა გათვლილი, რომლის დირექტორი ქ-ნი ელენე ბერკოვიჩი გახლავთ.

სტუმრებს საშუალება ჰქონდათ თავად დარწმუნებულიყვნენ ამ პროგრამების აუცილებლობასა და ამავდროულად წარმატებულობაში. ისინი დაესწრნენ რამდენიმე პროგრამას და აღფრთოვანებულები დარჩნენ ნანახით. სემინარის მონაწილეები დანახულს საკუთარ ფოტოკამერებზე აღბეჭდავდნენ, აკეთებდნენ ჩანაწერებს, ესაუბრებოდნენ და ეცნობოდნენ ხალხს.

სტუმრებს მიესალმა და ქართველი ებრაელობის ისტორიაზე ესაუბრა მწერალი, „მენორა“-ს რედაქტორი გურამ ბათიაშვილი. მან გამოსთქვა რწმენა, რომ საქართველოში ჩატარებული სემინარი სათავეს დაუდებს ქართველი ებრაელობის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, რაშიც ქართველი და ქართველი ებრაელი მეცნიერების ღვაწლიც გასათვალისწინებელიაო.

ჩვენ გავესაუბრეთ იერუსალიმის ბენ-ცვის ინსტიტუტის პროფესორს ბ-ნ იომ ტოვ ასისს.

– ბ-ნო ასისს, გაგვაცანით სემინარის მიზანი.

– ჩვენი ორგანიზაციის – „ებრაული ისტორიული სემინარის“ 40 წევრი მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდა იმისათვის, რათა უკეთ გაეცნონ და შეისწავლონ საქართველოს ებრაელების კულტურა. ესენი არიან: ისრაელიდან, აშშ-დან, ინგლისიდან, მექსიკიდან, ბრაზილიიდან, საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან.

9 დღეა აქ ვიმყოფებით, დავიწყეთ საქართველოს ებრაელების ისტორიის შესწავლა. ოქტომბერში საქართველოში ვიზიტის დროს ბ-ნ გურამს ვუთხარი, რომ ჩამოვიდოდი და ჩავატარებდი ასეთ სემინარს და მოხარული ვარ ეს მართლაც, მოხერხდა. ჩვენი სემინარი ყოველთვის მოძრაობაშია, ანუ ასე ვთქვათ, მოგზაურობს ადგილიდან ადგილზე. სადაც არ უნდა წავსულიყავით ყველგან ვატარებდით ლექციებს. გვყავდა 6 ლექტორი, ასევე მონაწილეები და ჩვენ შევისწავლიდით საქართველოში ებრაელების ცხოვრების ასპექტებს, დავათვალიერეთ სინაგოგები, ვიყავით სასაფლაოებზე, მოვინახულეთ ებრაელების ისტორიული ღირსშესანიშნავი ადგილები.

– რას შეიძლება ველოდოთ ამ სემინარის შემდეგ?

– გვსურს მეტი ადამიანი მოვიზიდოთ მომავალში ამ თემის შესასწავლად, თუმცა, ამასობაში იერუსალიმის ბენ-ცვის ინსტიტუტში ჩვენ ვუყრით საფუძველს საქართველოში ებრაელების შესახებ წიგნის გამოცემას. ვაპირებთ გამოვიკვლიოთ და ვიმუშაოთ ამ საკითხზე, შემდეგ შევაჯამოთ და დავაკავშიროთ ერთმანეთს მეცნიერები, რომლებიც ამ წიგნში სტატიების ავტორები გახდებიან. ყოველი თავი მიეძღვნება, რასაკვირველია, ებრაულ თემს.

ჩვენ გავარკვიეთ, რომ თურმე საკმაოდ ცოტა რამ დაწერილა საქართველოს ებრაელების შესახებ. ახლა ჩვენ გვსურს შევთავაზოთ ისრაელში მცხოვრებ ადამიანებს მასალა ებრაული თემის შესახებ.

– ამის გაკეთებას მარტო ბენ-ცვის ინსტიტუტი აპირებს?

– ჩვენ პასუხისმგებელი ვართ განვავითაროთ სამეცნიერო გამოკვლევები ზოგადად აღმოსავლეთში მცხოვრებ ებრაელების შესახებ, დაწყებული მაროკოდან დამთავრებული ჩინეთით. ეს ასევე საქართველოსაც ეხება. სწორედ ეს გახლავთ ბენ-ცვის ინსტიტუტის მიზანი.

ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობისას ჩვენ მოვახერხეთ ებრაული თემატიკის გამოფენის ჩატარება. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი კატალოგი, რომელიც ასევე ემსახურება ჩვენს მიერ დაგეგმილი გამოცემის ერთ-ერთ ნაწილს.

– და ბოლოს, როგორ მოგეწონათ თბილისის ებრაული სათემო სახლი გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები...

– ვფიქრობ ეს შესანიშნავი ადგილია, სადაც ჩვენ ვიგრძენით დიდი სითბო და სიყვარული. ჩვენ ვნახეთ, რომ აქ ხორციელდება უამრავი პროგრამა, როგორც პატარებისათვის, ასევე ხანდაზმულებისათვის. ეს ადამიანები აქ ბედნიერად გრძნობენ თავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერსონალი, თანამშრომლები მთელი გულითა და წარმატებით ასრულებენ თავიანთ მისიას.

ერთადერთი, რამაც ჩვენში გაკვირვება გამოიწვია, იყო ის, რომ ის ადამიანები, რომლებსაც აქ შევხვდით, ნაკლებად ლაპარაკობენ ქართულად, უმეტესად რუსული საუბარი ჩამესმოდა.

– დიდი მადლობა იმისათვის, რომ დაგვითმეთ დრო, გისურვებთ წარმატებებს, დასახული მიზნების ასრულებას და მოუთმენლად კვლავ გელით საქართველოში.

მოამზადა ლიდია ხომენკომ

პროტესტი

საქართველოს ებრაელ ქალთა საბჭო და საერთაშორისო ფონდი „ლეა“ უერთდება საყოველთაო პროტესტს „Facebook.com“-ში 2010 წლის 9 ივლისის აქციის „მოჰკალი ებრაელი!“ („Kill a Jew Day“) დღედ გამოცხადებას. მიგვაჩნია, რომ ეს სოციალური ქსელი ე.წ. ინტერნეტულ თამაშებში რასიზმის, ანტისემიტიზმის გაძლიერებას არ უნდა უწყობდეს ხელს. ამ ქსელის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ ასეთი მოწოდებების პრევენციის მექანიზმი.

მარინე სოლომონიშვილი

მიღებულია „evreiskiy-kaleidoskop googlegroups.com“ on „behalf of Public“ Diplomacy Network-იდან.

ტოლერანტობის გაძლიერებისათვის

ებრაული სამყარო ესწრაფვის ტოლერანტული გარემოს შექმნას – ადამიანებს შორის შემწყნარებლობას, ერთა შორის ურთიერთპატივისცემას. ჩვენს ცივილიზებულ ეპოქაში, სწორედ არატოლერანტული დამოკიდებულებით ზარალდებიან ერები, სახელმწიფოები. ებრაელობა სწორედ ერთმანეთის მიუღებლობამ, არცნობამ, მტრობამ დააზარალა. ამიტომ ევრაზიის ებრაული კონგრესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი ერთა,ადამიანთა შორის ტოლერანტული სულისკვეთების დამკვიდრებას ემსახურება.

ეს კონგრესი დიდი ხანი ემზადებოდა ეთნოკონფლიქტებით დაჯიჯგნილ კავკასიაში მოეწყო სხვადასხვა

ეროვნების ახალგაზრდობის შეხვედრა,რადგან მიიჩნევს, რომ ამ რეგიონში არის ტოლერანტობის დეფიციტი.

ბაკურიანის სასტუმრო „თბილისში“ პირველ ივლისს დაიწყო და ხუთ ივლისამდე მიმდინარეობდა ეროვნებათშორისი სემინარი „ტოლერანტობის სათავეებთან“.

სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, უკრაინის ახალგაზრდები: ქართველები, რუსები, უკრაინელები, ოსები, სომხები. აზერბაიჯანელებმა უარი თქვეს სომხებთან ერთად მრგვალი მაგიდის ირგვლივ სჯა-ბაასზე.

სემინარი ჩაატარა ევრ-აზიის კონგრესმა, უკრაინის ეროვნულმა საბჭომ და „ჯოინთმა“. ხელმძღვანელობდა ევრაზიის კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე **იოსებ ზისელსი**, ტრენინგებს ატარებდნენ **ალექსანდრე ვოიტენკო, ნატალია ბაკულინა, ანა ლენჩოვსკაია** (უკრაინა), **ვიაჩესლავ შინკარენკო** (ისრაელი).

სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ **გურამ ლორთქიფანიძის** ვრცელი ლექცია „პარადიგმატიკა – აღმოსავლეთი – დასავლეთი“, რომელშიც მეცნიერი განიხილავდა ორი ცივილიზაციის ურთიერთმიმართებას, ხოლო პროფესორმა **რამაზ საყვარელიძემ** თავის ლექციაში „კავკასიაში ეთნოკონფლიქტების ფსიქოლოგიური ასპექტები“ ვრცლად მიმოიხილა ყარაბაღში, აფხაზეთსა თუ ოსეთში განვითარებული მოვლენები.

იოსებ ზისელსის ლექცია „ქსენოფობია და ტოლერანტობა. თემის ასპექტები და პრობლემები“ მოიცავდა ამ მნიშვნელოვანი პრობლემების, გადაჭრის ებრაულ ხედვას.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ევრ-აზიის კონგრესის გენერალური საბჭოს წევრები: **ელენე ბერკოვიჩი** და **გურამ ბათიაშვილი**.

ახალგაზრდობისათვის ერთობ საინტერესო აღმოჩნდა უფროსი თაობის გვერდით გატარებული რამდენიმე დღე.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16/მ-557
9771987898003